შემოქმედ პედაგოგთა აკადემია

ყველა მოსწავლეში ერის მზე, მოსავია ჩვენ,
მასწავლებლებმა, შევძლოთ მისი ანთება!

www.klasobana.edu.ge

კლასობანა

სასკოლო ჟურნალი #1 იანვარი__ 2026

სიახლეები

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

„უმაღლესი განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმის დაწყება ეფუძნება სიღრმისეულ ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკას და ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ინტერესებს. ბოლო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიური პროგრამების, კვლევითი მიმართულებებისა და ინფრასტრუქტურის შედარებითი ანალიზი. ამ პროცესისა და რექტორებთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ.

ეს იქნება საწინდარი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდება რეგიონში აკადემიური და სამეცნიერო განვითარების წამყვანი ცენტრი და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს საერთაშორისო რეიტინგებს," – აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც გივი მიქანაძემ აღნიშნა, უნივერსიტეტების გაერთიანების მიზნით, მინისტრის ბრძანებით შეიქმნება მართვის დროებითი ორგანო „საბჭო" და დაინიშნება რექტორისა და რექტორის მოადგილეების მოვალეობის შემსრულებლები, რომლებიც რეორგანიზაციის პროცესის წარმართვას უზრუნველყოფენ.

მინისტრის თქმით, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, დამატებით შეიქმნება წამყვანი პროფესორის აკადემიური თანამდებობა და ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით შერჩეული პირები უზრუნველყოფენ სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, ხარისხის ზრდასა და ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის განვითარებას.

„ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე რეფორმის ფარგლებში არ იგეგმება აკადემიური კადრების შემცირება. მაქსიმალურად შევინარჩუნებთ აკადემიურ პერსონალს – გავწევთ ძალისხმევას, რომ მათი გამოცდილება და ცოდნა გამოყენებული იყოს როგორც სასწავლო კომპონენტში, ასევე კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში. მივიღეთ არსებული ადგილების შენარჩუნების გადაწყვეტილება და არ ვამცირებთ სტუდენტთა ჩარიცხვის კვოტებს.

ჩვენი მიზანია, განათლების სისტემაში გამჭვირვალედ, საზოგადოების ჩართულობით, განხორციელდეს ფუნდამენტური რეფორმები. ამის დადასტურებაა მიზნობრივ ჯგუფებთან, პირდაპირი კომუნიკაციის გზით, რეფორმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, რასაც ჩვენ მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ," – აღნიშნა გივი მიქანაძემ

მინისტრმა ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ ახალი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, პირველკლასელთა ასაკი განისაზღვრება 6 წლით, რაც გულისხმობს იმას, რომ ბავშვის პირველ კლასში დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას 15 სექტემბრის ჩათვლით უსრულდება 6 წელი. ცვლილება ამოქმედდება 2026-2027 სასწავლო წლისთვის.

ახალი კონცეფციის თანახმად, სრული ზოგადი განათ-ლება მოიცავს 11 წელს, სისტემაში შენარჩუნდება მე-12 კლასის შესაძლებლობა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ნებაყოფლობით აირჩევენ დამატებითი აკადემიური მზაობის განმტკიცებას წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე.

წყარო: https://mes.gov.ge/content.php?id=14454&lang=geo&csrt=8622720979676046573

საკანონმდებლო ცვლილე-ბების საფუძველზე ზოგადი განათლე-ბის საფეხურები განისაზღვრება შემდეგ-ნაირად:

2026-2027 სასწავლო წლიდან დაწყებითი საფეხური – I-VI კლასები, საბაზო საფეხური – VII-IX კლასები, ხოლო საშუალო საფეხური – X-XI კლასები 2027-2028 წლიდან. ამავე სასწავლო წლიდან, მე-11 კლასში იქნება უზრუნველყოფილი სკოლაში ორგანიზებული რეპეტიტორიუმი, რომელიც მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას სრულფასოვნად მოემზადონ ეროვნु-ლი გამოცდებისთვის.

გივი მიქანაძემ ერთი სახელმძღვანელოს პრინციპზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას შექმნას ერთ კლასში, ერთ საგანში ერთი სტანდარტული სახელმძღვანელო. ეს პროცესი 2028 წლის სექტემბრისთვის დასრულდება. ამასთან, 2026-2027 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში, დაწყებით საფეხურზე – I–VI კლასებში – სავალდებულო გახდება სასკოლო ფორმა და სკოლებში შემუშავდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს.

მართალი მასწავლებელი



19 დეკემბერი

სიკეთე გადამდებია!



მართალი მასწავლებელი

ამ სტატუსით დააჯილდოვეს ქ.თბილისის მე-12 საჯარო სკოლის მასწავლებელი თამუნა ხიზანიშვილი, IV-ბ კლასის მოსწავლეებმა და მშობლებმა. მათ მასწავლებლითვის სპეციალურად შექმნეს მოსწავლეთა ჩანაწერების სამადლობელი წიგნი და საყვარელ მასწავლებელს უსახსოვრეს. ეს არის უნიკალური საჩუქარი და ერთადერთი მთელ მსოფლიოში, რამაც ბედნიერი ცრემლებით აატირა თამუნა მასწავლებელი.

,,სიკეთე გადამდებია!”-ასე ჰქვია თამუნა მასწავლებლის მიერ დაარსებულ პროექტს, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება 19 დეკემბერს, მე-12 საჯარო სკოლაში. ახლა კი, ამ წიგნით, თითქოს ბუმერანგივით დაუბრუნდა უკან თამუნა მასწავლებელს ის სიხარული, მადლი და სიყვარული, რაც კი ამ წლებში უკეთებია მასწავლებლისთვის და ბავშვებისთვის. ჩვენი გუნდიც იზიარებს ამ სიხარულს და ულოცავს თამუნა მასწავლებელს დიდი სითბოთი და სიყვარულით მოპოვებულ ჯილდოს!

♡ გვიყვარხართ! ♡

პატარა დედაჩემია, დიდი კი მისი სამსახური

საბავშვო ბაღი: ბავშვების ტიტინი და ჟრიამული, სიხარული და სინათლით სავსე თვალები...

ხათუნა მასწავლებელი პატარებს ფურცლებსა და ფერად ფანქრებს ურიგებს.

--რა კარგია! ხატვის გაკვეთილი იწყება! - წამოიძახა ერთმა ცისფერთვალა, ტიტინა გოგონამ და ტაში ისე ძლიერად შემოსცხო, რომ მთელი ჯგუფი აიყოლია.

ხათუნა მასწავლებელს სახეზე ბედნიერმა ღიმილმა გადაუარა და მაგიდებ შორის სიარული დაიწყო

- ბავშვებისთვის ხელოვნების კარის გაღება ჩემთვის ხომ სამყაროს სხვა თვალით დანახვის შესაძლებლობაა, აქ თითქოს ფერები, ხმები და ფორმები ახალი ცხოვრების ძალას იძენენ-ღრმა ფიქრმა გაიტაცა მასწავლებელი და ისე დააცქერდა ბავშვების ხელით შესრულებულ ფერთა სიმფონიას, თითოეულ შტრიხსა და ხაზს, თითქოს ეს იყო საკუთარი გრძნობებისა და ფიქრების შემოქმედებითად გამოხატვის, თავისუფლებისკენ მიმავალი გზა.

ბავშვები ხატავენ ცხოველებს, მზეს, ყვავილებს...ხატავენ მთელი ემოციით, ჭრელა-ჭრულა ფერებით...

უცებ, მასწავლებლის ყურადღება ერთმა უცნაურმა ნახატმა მიიპყრო. ნახატი მხოლოდ შავი ფერით იყო შესრულებული. დიდი გოგო და მისკენ მიმართული პატარა გოგონა.

-რა ლამაზია, აქ მგონი შენ და შენი დედიკო ხართ, არა?! - ალერსით გადაუსვა თავზე ხელი მასწავლებელმა.

-არა! აქ მე საერთოდ არ ვარ! - ჯიუტად, გაბრაზებით თქვა გოგონამ.

-აბა, ეს ვინ არის? - ჩაეძია მასწავლებელი.

- დედიკო ეს პატარა გოგოა, დიდი კი მისი სამსახური - ტირილით ჩაილაპარაკა პატარამ და თვალცრემლიანი მთელი გრძნობით ჩაეხუტა მასწავლებელს.

ეს არ იყო ჩვეულებრივი ჩახუტება! ამ ძლიერმა გრძნობამ,

ამ მხურვალე სითბომ, გადააწყვეტინა ხათუნა მასწავლებელს რომ მუდამ ბავშვების გვერდით ყოფილიყო. თითქოს მის თვალწინ გაირბინა განვლილმა 33-მა წელმა. - აქამდე სად ვიყავი, როცა ბავშვებს ასე ძალიან ვჭირდებიო- ჩაილაპარაკა და პატარა გოგონას ცრემლიანი თვალები დაუკოცნა.

პატარა დედაჩემია, დიდი კი მისი სამსახური,-ამ სიტყვებმა გადააწყვეტინა ქალბატონ ხათუნას რომ **თავისი ცხოვრება ბავშვებისთვის მიეძღვნა. რათა დედებს მონატრებული პატარებისთვის სითბო და სიყვარული ეჩუქებინა.**

და აი, უკვე 22 წელია რაც ქალბატონი ხათუნა მაისურაძე ბავშვებს საკუთარი ემოციების ფურცელზე გადატანას ასწავლის. დღეს ის მშობლიურ სკოლაში, ქალაქ თბილისის 30-ე საჯარო სკოლაში მოღვაწეობს.

- კარგი მეგობარი, კარგი მასწავლებელი, კარგი დედა და მეუღლე - ასე ახასიათებენ ქალბატონ ხათუნა მაისურაძეს მისი ნაცნობ-მეგობრები.

შეუფასებელია მისი ღვაწლი ერისა და ბერის წინაშე, რადგან ის საუკეთესო ხატმწერიცაა. მისმა დაწერილმა ხატებმა უამრავ ტაძრებში დაიდო ბინა. ქალბატონი ხათუნა კი ყველა ხატს სამშობლოსა და ბავშვების კეთილდღეობას ავედრებს.

ხათუნა მასწავლებლის შემოქმედებითი სამყარო




დამსახურებული მასწავლებელი, რომელიც სოფელმა დეპუტატად აირჩია

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლას საზოგადოება უკვე იცნობს, რადგან ის ყოველთვის გამოირჩევა თავისი კრეატიულობით, მონდომებითა და სწავლის ხარისხით. ამბობენ, ორგანიზაცია დირექტორის სახეს წარმოადგენსო და სწორედ ამ ფრაზამ მიგვიყვანა ბატონ **რამინ ხინიკაძესთან**.

არც შევმცდარვართ, რადგან ბატონ რამინის მიზანია თანამედროვე, ინოვაციური და მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის წარმოდგენა. მას უნდა, რომ სკოლაში მოსწავლეს ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა. სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლემ მხოლოდ ცოდნა კი არა, არამედ და ადამიანური ღირებულებები უნდა შეისწავლოს.

მისთვის საზოგადოების განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია განათლებასთან, შრომასთან და პასუხისმგებლობასთან. სწორედ ამ ღირებულებებზე ააშენა ბატონმა რამინმა პროფესიული და პიროვნული გზა, რომელიც აერთიანებს პედაგოგიურ საქმიანობას, ლიდერობასა და საზოგადოებრივ ჩართულობას.

ის ყოველთვის ზრუნავს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე და პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე.
ბატონი რამინი არის კარგი მამა, მასწავლებელი, მეურლე და მეგობარი. სწორედ ამიტომ, 2025 წელს სოფელ ციხისძირის მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა და საკრებულოში სოფლის მაჟორიტარ დეპუტატად აირჩია.
ბატონი რამინისთვის ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ის აქტიურად ცდილობს სოფლის განვითარებაზე, განათლებასა და სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე.

სწორედ ასეთი ადამიანები უნდა ხდებოდნენ ხიდნი მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

ჩვენ, შემოქმედ პედაგოგთა აკადემიის წევრებიც ვუერთდებით ბატონ რამინის კოლეგების სიხარულს და წარმატებებს ვუსურვებთ მას!

გვეამაყებით!

კინო-კლუბი

შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ტაკიძეების საჯარო სკოლაში

ყველა სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მოსწავლეებისთვის სასურველი გარემოს სივრცის შექმნაა. სივრცე, სადაც მოსწავლეები თავს კომფორტულად და ბედნიერად გრძნობენ. სწორედ ასეთი ბედნიერი სამყარო შექმნა ქალბატონმა შუშანა ტარიელაძემ სოფელ ტაკიძეების საჯარო სკოლაში. ჯერ კიდევ, 2020 წელს მან Noosfera Foundation-ის დახმარებით, სკოლაში დააარსა კინო-კლუბი. ფონდი Noosfera Foundation-ი უკვე 10 წელზე მეტია ცდილობს წვლილი შეიტანოს განათლების მიმართულებით დოკუმენტური კინოს წარმოებაში. ფონდი აწყობს კინო-ჩვენებებს, ტრენინგებსა და CinéDOC-Tbilisi-ს - საერთაშორისო დოკუმენტურ კინოფესტივალს საქართველოში. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას. ისეთ თემებზე აწყობს კინოჩვენებებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, ეკოლოგიური პრობლემები, გენდერული საკითხები და ა.შ. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერის საფუძველზე და ქალბატონ შუშანას ძალისხმევით სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კინო-კლუბი ,,CineDOC აპოლონი აჭარა“. კლუბში გაწევრიანებულია სკოლის ყველა მოსწავლე. CineDOC სკოლას აქვს თავისი პლატფორმა, ჰყავთ ფსიქოლოგი, სადაც სპეციალურად ბავშვებისთვის ასაკის შესაბამისად შერჩეულია დოკუმენტური ფილმები და ანიმაციები ხვადასხვა თემატიკით: ბავშვთა შრომითი უფლებების დარღვევა; ნაადრევი ქორწინება; პანდემიით გამოწვეული პრობლემები; შშმ და სსმ პირების მიზანდასახულობა; მეგობრობა; ომი; სხვადასხვა დაავადებებთან გამკლავება და .ა.შ. თითქმის ყველა ფილმი პრობლემაზე ორიენტირებულია. კინო-კლუბის წევრებს აქვთ კინო-ჩვენებები, ფილმების გარჩევა. ადგენენ გეგმებს და მართავენ დისკუსიას. მოსწავლეები პოულობენ ფილმის იდეას, პრობლემებს, ეძებენ გადაჭრის გზებს. პროექტის ხელმძღვანელების დახმარებით ისწავლეს გახმოვანების ეტაპები, შეიძინეს აპარატურა და მოიძიეს ისეთი პარტნიორები, რომლებიც ხელს უწყობენ კინოკლუბების პოპულარიზაციას.

თანდათანობით მოსწავლეებში გაჩნდა დოკუმენტური ფილმებისადმი სიყვარული, ზოგს რეჟისორობა მოუნდა, ზოგს მსახიობობა. ერთხელ, ქართული ენის გაკვეთილზე ისწავლეს მოთხრობა მიტოვებულ სახლზე, რამაც მოსწავლეებს გული აუჩუყა. კლასში იყო ეკომიგრანტი გოგონა, რომლის სახლიც დაიმეწყრა და დროებით სხვა სახლში გადავდნენ საცხოვრებლად. ბავშვებს გაუჩნდათ სურვილი გაყოლოდნენ გოგონას და მიტოვებულისახლი მოენახულებინათ. ასე დაიბადა ფილმის შექმნის იდეა. იდეა კი საქმედ იქცა და მშვენიერი ფილმი გამოუვიდათ. პრემიერა საყვარელ სკოლაში შედგა. იმედი გვაქვს რომ საზოგადოება მალე იხილავს კინო-კლუბის მიერ გადაღებულ ფილმს და სხვა სკოლებიც აქტიურად ჩაერთვებიან ამ დიდებულ საქმეში.



შუშანა ტარიელაძე
დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

კინოფილმებით სწავლება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას:

- **ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება;**
- **შემოქმედებითი უნარები;**
- **ურთიერთობების დამყარება;**
- **პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა;**
- **ტრანსფერი;**
- **როლების გადანაწილება...**

მოსწავლეებმა შეიყვარეს დოკუმენტური ფილმები. მათ გაუჩნდათ სურვილი დაეუფლონ კინოხელოვნებას და მიღებული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ თავისუფალ მოქალაქეებად.

ჩაერთე კონკურსში „გახდი ბეჯითი"

კონკურსი დაყოფილია 3 ეტაპად:

I ეტაპი: რეგისტრაცია.

რეგისტრაციის მთავარი პირობაა, რომ კლასი მთელი სასწავლო წლის II სემესტრის განმავლობაში აწარმოებდეს დღიურს: ,,შევაგროვოთ ვარსკვლავები" და ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მოსწრება.

II ეტაპი: გუნდის შექმნა

შეგროვილი ვარსკვლავების მიხედვით, კლასის დამრიგებელი ქმნის საკონკურსო გუნდს, რომელიც შედგება შვიდი მოსწავლისგან. (მონაწილეობისთვის გადამწყვეტია შეგროვილი ვარსკვლავების რაოდენობა).

III ეტაპი: კონკურსი

საკონკურსო გუნდმა უნდა წარმოადგინოს გუნდის სახელი, ლოგო, დევიზი და ფორმა. კონკურსი ჩატარდება კლასების მიხედვით. წარმოდგენილი იქნება ასაკობრივად შერჩეული 30 კრეატიული შეკითხვა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ თანაკლასელთა გუნდებს, რომლებიც სწავლობენ საქართველოს სახელმწიფო ან კერძო სკოლის I-IV კლასებში და მათ კაპიტნებს წარმოადგენენ კლასის დამრიგებლები.

დაგვიკავშირდით:
550051640



კონკურსი ჩატარდება ამა წლის 10-20 მაისს, ხოლო გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება საზეიმო ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს.

ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა

მაკა მაღრაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

„ქართული მარტო ენაა?!– ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა!– იმოდენაა!“

საუკუნეების განმავლობაში ღვთით კურთხეულმა ქართულმა ენამ გამოიარა საკმაოდ რთული გზა. ქართველებისთვის ქართული დედაენაა, დედაბოძია, დედა– სვეტია, დედაბუნებაა, დედასამშობლოა...

იაკობის „დედაენის“, „ვეფხისტყაოსნის“, ილიას ,აკაკის, ვაჟას შესწავლის შემდეგ აცნობიერებ, რომ იგი ყველა ქართველის დედაენაცაა, ეროვნულია, სამწერლობოა, კულტურულია...

როგორ მოვიდა? რა გზა გამოიარა? როგორია დღეს? – ეს კითხვები ყველა ქართველს უნდა აწუხებდეს, მაგრამ ადეკვატური პასუხების მოსმენა და მიღება მასწავლებლების პროფესიონა–ლიზმზეა დამოკიდებული. მთავარია პედაგოგსჰქონდეს სურვილი და შინაგანი მოტივაცია ჩასწვდეს მოსწავლის სულიერ სამყაროს,მის ინტერესებს,მისწრაფებებს და უკუკავშირიც აუცილებლად იქნება ყველაზე გულწრფელი,ობიექტური და ადეკვატური.

მასწავლებლობა უაღრესად კეთილშობილური პროფესიაა,რომლის წარმატებას განაპირობებს შრომისმოყვარეობა, საქმისა და მოსწავლეების სიყვარული.

ვედოგოგობა მოიაზრებს განვითარების უწყვეტ პროცესს, მუდმივ სწრაფვას სიახლეებისაკენ. როცა ამ გზაზე დგები უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის და გეამაყებოდეს შენი მასწავლებლობა!

ბავშვებს ქართული ლიტერატურა რომ შეაყვარო,პირველ რიგში,ჯანსაღი გარემოს შექმნაა საჭირო. ბავშვებს უნდა აუხსნა,რომ ლიტერატურა თავისუფლებაა და ტექსტის ინტერპრეტაცია იმდენი შეიძლება არსებობდეს,რამდენიც მკითხველია. მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა აცნობდეს როგორც კრიტიკოსთა,ასევე თავის შეხედულებებს,მაგარმ არასდროს არ უნდა მოახვიოს მათ თავზე საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებები. ასეთი მიდგომა ბავშვებს შეაყვარებს ლიტერატურას და ამავდროულად არ ექნებათ საკუთარი აზრის გამოთქმის შიში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს მოსწავლის თავისუფალი აზროვნება,ხოლო იმისთვის რომ მშობლიური ენა შეაყვარო, გაკვეთილები არ უნდა იყოს სტანდარტული ან მოძველებული სტილის. გამოყენებული უნდა იყოს ინოვაციური მეთოდები, თამაშები, დისკუსიები, ჯგუფურო მუშაობები და სხვადასხვა სახის თემატური პროექტები,ასევე საინტერესო იქნება შეხვედრები თანამედროვე მწერლებთან და პოეტებთან. სკოლებში უნდა ჩამოყალიბდეს“ წიგნის კითხვის კლუბი“, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები წაკითხული წიგნის შესახებ. რაც შეეხება ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამას, სასურველი იქნება,რომ კლასიკოსი მწერლების გვერდით უფრო მეტი ადგილი დაეთმოს თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებსაც, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ თვალი მიადევნონ თანამედროვე მწერლების, (მაგ: აკა მორჩილაძის,დათო ტურაშვილის,ბესიკ ხარანაულის,ლია სტურუასა და სხვათა) შემოქმედებას. საპროგრამო მასალის შესწავლის შემდეგ მიცემული შემაჯამებელი დავალებაც უნდა იყოს მრავალფეროვანი და არ უნდა იფარგლებოდეს იგი მხოლოდ ტესტების სახით.

XXI საუკუნის ახალგაზრდა თაობისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, რადგან მხოლოდ ქართულ ენასა და მართლმადიდებლობას შეუძლია საქართველოს გადარჩენა.ამიტომ მუდამ გვახსოვდეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა–პაპათაგან: მამული,ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც ვერ ვუპატრონეთ რა კაცები ვიქნებით,რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

თამუნა ხიზანიშვილი

შემოქმედ პედაგოგთა აკადემიის დამფუძნებელი

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება 6-დან 10 წლამდე ასაკში გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ამ პერიოდში ბავშვები გადიან გარდამავალ ეტაპს: ისინი ტოვებენ ადრეული ბავშვობის „ეგოცენტრულ“ სამყაროს და იწყებენ სხვებთან ურთიერთობის, მეგობრობისა და საკუთარი ემოციების მართვის რთული ხელოვნების სწავლას.

მოდით, დავეხმაროთ ბავშვებს ამ რთული გზის გავლაში!

1. ემოციური თვითცნობიერება: „რას ვგრძნობ მე?“

6-10 წლის ბავშვს უკვე შეუძლია გააცნობიეროს, რომ ერთი და იგივე მოვლენა (მაგალითად, საკონტროლო წერა) ერთდროულად იწვევდეს მიშსაც და ინტერესსაც.

- ემოციების ლექსიკონი: ამ დროს ბავშვი იტკიებს რაიმეს და იმეორებს, რომ ცუდად არის. თქვენ უნდა დაეხმაროთ ბავშვს, რომ გამოიყენოს უფრო ზუსტი სიტყვები. , ასწავლეთ თქვას: „იმედგაცრუებული ვარ“, „დაბნეული ვარ“ ან „მეწყინა“.
- ემოციების ვალიდაცია: არასოდეს უთხრათ „აქ სატირალი რა არის“. ამის ნაცვლადგამოიყენეთ ფრაზა: „მესმის, რომ ახლა ბრაზობ, რადგან თამაში წააგე. ეს ნორმალურია“.

2. თვითრეგულაცია: როგორ დავმშვიდდეთ?

ემოციის გაცნობიერების შემდეგ, ბავშვმა უნდა ისწავ-ლოს მისი მართვა, რათა იმპულსურმა ქცევამ ზიანი არ მიაყენოს მას ან სხვებს..

- „სტოპ-სიგნალის“ ტექნიკა: ასწავლეთ ბავშვს, რომ როდესაც ძლიერ ემოციას გრძნობს, ჯერ გაჩერდეს, ღრმად ისუნთქოს და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედოს.
- უსაფრთხო სივრცე: შექმენით სახლში კუთხე, სადაც ბავშვს შეუძლია განმარტოვდეს, როცა გადაღლილია ან გაღიზიანებული.

3. ემპათია და სოციალური უნარები

ამ ასაკში ბავშვებისთვის მეგობრობა უმნიშვნელოვანესი ხდება. ემპათია არის უნარი, გაიგო სხვისი მდგომარეობა.

- პერსპექტივის დანახვა: კითხვისას ან ფილმის ყურებისას ჰკითხეთ: „შენი აზრით, რას გრძნობს ახლა ეს პერსონაჟი?“ ან „შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილას?“.
- კონფლიქტების მოგვარება: ასწავლეთ „მე-შეტყობინებების“ გამოყენება. მაგალითად: „მე მწყინს, როცა ჩემს ნივთებს დაუკითხავად იღებ“ ნაცვლად იმისა, რომ თქვას „შენ ყოველთვის იპარავ ჩემს ნივთებს“.

4. პასუხისმგებლობა და,გადაწყვეტილების მიღება

სოციალურ-ემოციური განვითარება მოიცავს საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებასაც.

- არჩევანის თავისუფლება: მიეცით ბავშვს საშუალება, თავად მიიღოს მცირე გადაწყვეტილებე-ბი. (მაგალითად, რა ჩაიცვას ან რომელი წრე აირჩიოს). ეს უვითა-რებს ავტონომიის განცდას.
- შეცდომა, როგორც გაკვეთილი: ასწავლეთ, რომ შეცდომა არ არის კატასტროფა, არამედ სწავლის პროცესის ჩვეულებრივი ნაწილია.

ბავშვები ყველაზე მეტს ჩვენი მაგალითით სწავლობენ. თუ თქვენ თავად გამოხატავთ ემოციებს ჯანსაღად და პატივს სცემთ სხვის საზღვრებს, ბავშვი ამ მოდელს ავტომატურად აუცილებლად აითვისებს!

როგორ განვავითაროთ მეტყველება 5–7 წლის ბავშვებში

თეკლა მარკოზაშვილი

დაწყებითების მასწავლებელი

ლოგოპედიაში მეტყველების განვითარება მიმდინარეობს ეტაპობრივად და სისტემატურად. ჩვენი მიზანი ხომ ბავშვის გამართული, გასაგები და თავდაჯერებული მეტყველებაა. ჩვენ თუ გვინდა, რომ ჩვენი შრომა შედეგიანი იყოს, ბავშვთან უნდა ვიმუშაოთ რეგულარულად, თამაშითა და პოზიტიური მოტივაციით. უმჯობესია ჩავრთოთ მშობლებიც. ამიტომ გთავაზობთ რამოდენიმე მეთოდსა და სავარჯიშოს.

ლოგოპედიური გაკვეთილის სტრუქტურა არ უნდა აღმატებოდეს 30–35 წუთს:
1.არტიკულაციური ვარჯიში – 5 წუთი
2.ბგერაზე მუშაობა – 10 წუთი
3. სიტყვები და წინადადებები – 10 წუთი
4. თამაში და თხრობა – 5–10 წუთი

I. არტიკულაციური აპარატის განვითარება

ამ დროს ვანვითარებთ ენას, ტუჩებს, ქვედა ყბასა და სუნთქვას, ამიტომ რეკომენდირებულია შემდეგი ვარჯიშები:

- ღიმილი - „თუ“-ს წარმოთქმა
- ენის გამოყოფა და მობრუნება
- ცხენის ფლოქვების ტკაცუნი
- სანთლის ჩაქრობა

II. ბგერების ჩამოყალიბება და ავტომატიზაცია

მიმდევრობის დაცვით ვიწყებთ შემდეგ მუშაობას:
ბგერა → მარცვალი → სიტყვა → წინადადება → საუბარი

III. ფონემატური სმენის განვითარება

ვარჯიშები:

- რა ბგერით იწყება სიტყვა
- სწორია თუ არა?
- მსგავსი ბგერების გარჩევა (ს–შ, რ–ლ)

IV. ლექსიკური მარაგის გამდიდრება

- თემატური სიტყვები
- სინონიმები და ანტონიმები

აქტივობა:
ერთ თემაზე მაქსიმალური სიტყვების დასახელება

V. გრამატიკული სტრუქტურების განვითარება

- მრავლობითი რიცხვი
- ბრუნვები

ვარჯიში:
ვინ? რას აკეთებს? სად?

VI. თხრობითი და დიალოგური მეტყველება

- სურათის მიხედვით ამბის მოყოლა
- ზღაპრის გაგრძელება
- როლური დიალოგები

სასკოლო მზაობის ჯგუფებში ყველა პირობაა შექმნილი თქვენი შვილების განვითარებისთვის. ეტაპობრივად მიმდინარეობს ტრენინგი დედიკოებისთვის. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ნომერზე 593.90.14.80

დაეხმარეთ პატარებს პროფესიის არჩევაში. გთავაზობთ ტესტს, რომელიც დაეხმარებათ მოსწავლეებს სავარაუდო უნარების მიგნებაში .

https://scratch.mit.edu/

SCRATCH-ის სწავლება მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად.

თანამედროვე ციფრული სამყარო სწრაფი ტემპით ვითარდება და კომპიუტერული ტექნოლოგიები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლება აღარ ნიშნავს მხოლოდ ტექნიკური უნარების გამომუშავებას; იგი გულისხმობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, ლოგიკური მსჯელობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ციფრულ ეპოქაში მოსწავლეები არა მხოლოდ ტექნოლოგიის მომხმარებლები, არამედ მისი შემქმნელებიც უნდა გახდნენ. პროგრამირება ხელს უწყობს ალგორითმული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროფესიისთვის. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვიზუალური დაპროგრამების ენების გამოყენებას, განსაკუთრებით **Scratch**-ის.

Scratch არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, ინტუიციური გარემო, რომელიც პროგრამირების სწავლებას ხდის მარტივს, სახალისოსა და ხელმისაწვდომს. მისი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მოსწავლეები პროგრამას ქმნიან ბლოკების აწყობის გზით, რაც ამცირებს ტექნიკურ სირთულეებს და ყურადღებას ამახვილებს ლოგიკაზე, იდეასა და შემოქმედებით პროცესზე. **Scratch**-ის სწავლება დადებითად მოქმედებს მოსწავლეების მოტივაციაზე. ისინი ქმნიან ანიმაციებს, თამაშებსა და ინტერაქტიულ ისტორიებს, რაც სწავლებას პრაქტიკულ და საინტერესო პროცესად აქცევს. ამგვარი სწავლება აერთიანებს ტექნოლოგიას ხელოვნებასთან, მათემატიკასთან და ენებთან, რაც უწყობს ხელს ინტერდისციპლინურ განვითარებას. **Scratch**-ი ასევე ავითარებს მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარ - ჩვევებს: მოსწავლეები აზიარებენ პროექტებს, აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და სწავლობენ გუნდურ მუშაობას. ადრეულ ასაკში მიღებული ეს გამოცდილება ქმნის საფუძველს მომავალში ტექსტურ პროგრამირების ენებზე გადასასვლელად. შედეგად, მოსწავლეები იღებენ არა მხოლოდ ტექნიკურ ცოდნას, არამედ თვითგამოხატვის, კვლევის და ინოვაციური აზროვნების უნარს.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირება ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში და ვიზუალური დაპროგრამების გარემოს — Scratch-ის — გამოყენება წარმოადგენს თანამედროვე განათლების მნიშვნელოვან პედაგოგიკურ საფუძველს.

სოფია შენგელია

კომპიუტერული ტექნოლოგიების წამყვანი მასწავლებელი

Scratch-ის — გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებში ალგორითმული აზროვნების, ციფრული კომპეტენციებისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის განვითარებას.



2023 წლის 20 მაისს დასრულდა შემოქმედ პედაგოგთა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსი „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...“ კონკურსის მიზანი იყო პატარა მწერლების აღმოჩენა და საზოგადოებისთვის გაცნობა. ჩვენი ჟურნალის ყოველ ნომერში ვიწყებთ გამარჯვებული პატარა მწერლების გაცნობას.

მიხელ ჯავახიძე.

აქტიური, ცნობისმოყვარე და ენერგიული. უყვარს წერა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, მუსიკა. უკრავს ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე. პატარაობიდანვე იგონებს და წერს ზღაპრებსა და პატარა მოთხრობებს.

გაგაცნობთ ქალაქ რუსთავის, გალაქტიონ ტაბიძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლის აქტიურ მასწავლებელსა და მოსწავლეს.

მიშო და ბუძგი

ნანა კუჭუხიძე

ქართული ენის ლიტერატურისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელი. უყვარს ბავშვებთან მუშაობა, ცდილობს სკოლაში შექმნას ისეთი გარემო, სადაც სწავლა საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება.

ერთხელ, როცა ჩიტები თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ, დედამიწამ კი თოვლის თეთრი საბანი გადაიფარა, ცხოველებმა ბუნაგები და-ითბუნეს და გრძელ და ჭრელ სიზმრებს მისცეს თავი. ტყეში, ერთი პატარა ნაძვის ხის ძირში, სოროდან პატარა ზღარბუნიამ გამოყო ცხვირი. რაღაც თვალისმომჭრელმა სინათლემ გამოაღვიძა. კარისკენ გაიხედა და უცნაური მიწა დაინახა. დაინტერესდა, ფრთხილად აეცალა დედის ეკლებიან ზურგს და გამოცუნცულდა... თოვლი არასდროს ენახა, ჯერ ენა აუსვა და მოეწონა. ნაყინის გემო ჰქონდა, მერე დაგორგალდა, დამრგვალდა და სულ გორიალ-გორიალით დაეშვა გაუკვალავ დაღმართზე. ცოტა ხანს ითამაშა, ირბინა, მერე აბუზულ ბეღურებს გამოელაპარაკა და სახლისკენ რომ დააპირა წასვლა., მაგრამ გზა ვეღარ იცნო საწყალმა. ძალიან შეეშინდა, მოიბუზა და თავის ეკლებიან ქურქში შეიმალა. ერთ ხანს ასე იყო, მერე მობეზრდა და ცხვირი გამოყო, მერე სულ გასწორდა და გადაწყვიტა სახლის გზა მოეძებნა.

უცბად თავს წაადგა ლოყაწითელა , ფუმფულაქუდიანი პატარა ბიჭი.

- ეე, დიდი წაბლი! - შეჰყვირა ბიჭმა. აღება სცადა, მაგრამ ჩხვლეტია ეკლები პატარა ხელებში შეერჭო და მაშინვე ხელი გაუშვა.

- ნეტავ რა არის? - მერე გაახსენდა ზღაპრების წიგნში ნანახი ზღარბი. ბიჭმა ჯოხი მოძებნა, ზღარბი გადააბრუნა და გაკვირვებით წამოიძახა. - ვაშლი რატომ არ აქვს ზურგზე?!

ამასობაში ზღარბუნიასაც მობეზრდა აქეთ-იქით კოტრიალი, ცხვირ-პირი გამოყო ეკლებიდან და ბიჭს ასძახა:

- რა ვაშლი, სულაც არ მიყვარს ვაშლი!

ბიჭმა ზღარბის სიტყვები რომ გაიგონა, გაკვირვებისაგან გაოგნდა და თოვლზე დავარდა.

- როგორ, შენ ლაპარაკობ?!

ზღარბუნიამ სწრაფად შემოურბინა გარშემო გაოცებულ ბიჭს, დარწმუნდა, რომ ბიჭი არაფერს დაუშავებდა და უპასუხა:

- დიახ, ყველა ზღარბი ლაპარაკობს! ბიჭი წამოდგა, თოვლი ჩამოიბერტყა და ზღარბს გაეცნო:
- მიშო მქვია და თუ გინდა, ვიმეგობროთ!
- მე ზღარბუნია ვარ, დედა ბუძგს მეძახის მოფერებით. ვიმეგობროთ! - უპასუხა ზღარბმა.

ცოტა ხანს იგუნდავეს, თოვლში ირბინეს და რომ დაიღალნენ. ზღარბუნია ბუძგმა ტირილი დაიწყო. ძლივს ამოღერღა - დავიკარგეო -

პატარა მიშო ხომ გმირი იყო, გადაწყვიტა ზღარბუნიას დახმარებოდა და დედასთან დაებრუნებინა. ბუძგს მხოლოდ ის ახსოვდა, რომ დიდი ნაძვის ძირში ცხოვრობდა.

მიშო და ბუძგი ტყეს აღმა-დაღმა აუყვნენ. ამასობაში დაღამდა. ცოტა იარეს თუ ბევრი, უცბად მათ თვალწინ კაშკაშა სინათლე გადაიშალა. გაჩახჩახებულ ნაძვის ხეს უამრავი სათამაშო ამშვენებდა და მის წვერზე ვარსკვლავი ბრწყინავდა. ირგვლივ ისმოდა ალილო და მხიარული შეძახილები.

- დღეს შობაა, შობა!- ზეიმობდნენ ტყის ბინადრები.

დედა ზღარბი კი გაჰყურებდა გზას და ქვითინებდა.

- ეს დღე ხომ სიხარულის, იმედის და სურვილების ასრულების დღეა, - ამშვიდებდნენ მეზობლები დედა ზღარბს. ამ დროს პატარა

ბუძგმა სინათლეზე დაღონებული დედა დაინახა და გახარებული ჩაეხუტა. თვალცრემლიანი დედა კოცნიდა და ეფერებოდა თავის ეკლე-ბიან შვილს. შობას ზეიმობდა მთელი სამყარო. მიშოს უხაროდა მეგობარს რომ დაეხმარა, დედა ზღარბს ზრდილობიანად მიესალმა და შობა მიულოცა. დიდხანს გაგრძელდა ზეიმი და მხიარულება. პატარა მიშომ მოიწყინა.

- მეც დროულად უნდა დავბრუნდე სახლში, თორემ დედაჩემიც ინერვიულებს.
- დიდ თოვლში და სიბნელეში როგორ უნდა იარო, დარჩი ჩვენთან, ღამე აქ გაათიე და დილით გაგაცილებთო- უთხრა დედა

ზღარბმა. მიშო დათანხმდა, მაგრამ აი, საოცრება. მიშოს ზღარბების სოროში ფეხიც არ შეეტია.დედა ზღარბი ძლიერ შეწუხდა, სტუმარს რომ ვერ უმასპინძლა. შვილივით მიეფერა ბიჭს და უცებ სიხარულით წამოიძახა,

- ციყვი! ციყვს ვთხოვ და ღამეს ის გაგათევინებსო. იქვე, მუხის ხის ფუღუროდან სინათლე გამოდიოდა. ის იყო ციყვი დასაძინებლად

ემზადებოდა, რომ ზღარბის ხმა შემოესმა.

- მეზობელო, ამ ბიჭს ღამეს ვერ გაათევინებ?

ციყვმა რომ მიშო დაინახა, უთხრა:

- შენ ხომ ის ბიჭი ხარ, შარშან მურასგან რომ მიხსენიო, - კუდზე

თათი გადაისვა და გაახსენდა ის დღე, მიშოს ბებოს ტომრიდან პარავდა. თხილს რომ მაშინ მურამ კუდით დაითრია, მიშომ კი ოსტატურად მოუქნია ჯოხი მურას და ციყვი გადაარჩინა.

- ჩქარა ამოდი, თხილს გაჭმევ და ცაცხვის ჩაის დაგალევინებ, სულ გაყინულხარო,- ჩამოსძახა ბიჭს კუდბუთქუნა ციყვუნამ.

მიშოც მოხერხებულად აძვრა ხის ტოტზე და ახლა ფეხი კი არა, ხელიც ძლივს შეეტია ფუღუროში. დაღონდა ციყვუნია. ზღარბები, ციყვი და მიშო დათვის ბუნაგისაკენ გაემართნენ.

- ბაჯბაჯაააა!- შესძახა დედა ზღარბმა,- გამოდი შე მძინარა, დახმარე-

ბა გვინდა და შენ თუ გვიშველიო. შეზანზარდა ბუნაგი და ზოზინით გამო-ბაჯბაჯდა ყავისფერი, შავდრუნჩიანი და ძალიან ჩამრგვალებული დათვი. გაუკვირდა ერთად შეკრებილი მეზობლები რომ დაინახა. - ისევ იმ საძა-გელმა კუდაგრძელა მელამ ხომ არ შეგაწუხათო?- მზრუნველობით იკითხა. მიშო რომ დაინახა, სულ მთლად გადაირია.- ნამდვილად ტყავი უნდა გამაძ როს, პაპამისის სკიდან თაფლი რომ ამოვჭამეო, მაგრამ რომ გაიგო ბიჭს დახ მარება სჭირდებოდა, გული მიეცა და მეზობლებს შეჰპირდა მიშოს შინ წაყვა ნას,დრუნჩამ შინ შეიპატიჟა მეზობლები. მიშო მშვენივრად შეეტია ბუნაგ-ში, რომელიც მყუდროდ იყო მოწყობილი და ძალიან თბილოდა.დათვი ყველას თაფლითა და თხილით გაუმასპინძლდა. დღეს ხომ შობაა სიკეთისა და სიყვარულის დღე. გამასპინძლების შემდეგ დათუნია ბიჭს სახლისაკენ გაუძღვა. მიშოს აღარც სიბნელისა ეშინოდა და აღარც სიცივისა, გვერდით ხომ ასეთი მეგობარი ჰყავდა. მთვარე ამოსულიყო და თოვლი ათასფრად ბრჭყვიალებდა. სასიამოვნო იყო მთვარიან ღამეში ტყეში სეირნობა. მოაბი-ჯებდნენ მიშო და დრუნჩა თოვლში. მიშო ფიქრობდა , როგორ მოუყვებოდა მეორე დღეს მეგობრებს შობის ღამეს ტყეში გადახდენილ თავგადასავალზე. ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა ახალი წელი, რომ ზღარბუნიასა-თვის, კუდფუმფულა ციყვისათვის და დათუნია დრუნჩასათვის საახალწლო ნუგბარი მიერთმია და მათთან ერთად დრო მხიარულად გაეტარებინა.

გ ა ა ფ ე ห ა ღ ე თ !



მხატვარი: მარიამ ფომენკო *8 წლის*

მასწავლებელი: თეონა ღლონტი

ქ.თბილისის სამხატვრო სასწავლებელი